ქართული
როგორც მეორე ენა

7

ნათია მანია, გიორგი ჭაუჭიძე,
ზეინაბ ბერაძე, ნონა არევაძე-კოტორაშვილი
ნონა მიქელაძე, ია რობაქიძე

.....
სახელი და გვარი

.....
ქალაქი/სოფელი

სულაკაურის
გამომცემლობა

სავარჯიშოების რვეული

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტროს მიერ 2021 წელს.

სარჩევი

თავი 1	არდადეგების შემდეგ	4
თავი 2	ბავშვური სამყარო	26
თავი 3	ინდიელების საჩუქარი	38
თავი 4	ყველაზე საინტერესო მოგზაურობა	49
თავი 5	ზამთრის კურორტები	66
თავი 6	დიდ და პატარა გამოგონებები	76
თავი 7	მე - მკითხველი და მწერალი	92
თავი 8	დედის დღე და მამის დღე	106
თავი 9	ეტიკეტი	116
თავი 10	ადამიანი და ენა	128

თავი 1 არდადეგების შემდეგ

დავალებები 1–2 შეასრულე წიგნში.

სავარჯიშო 3. **დააკავშირე:**

გადარეული	ანათებს
ბრდღვიალებს	გაგიჟებული
ფრიალებს	წრეზე მოძრაობა, ბრუნვა
ტრიალი	ფართოდ იშლება, ჰაერის მოძრაობას მიჰყვება

სავარჯიშო 4. **გამოტოვებული ადგილები შეავსე შემდეგი სიტყვებით:**

ფრიალებს, გადარეულები, ბრდღვიალებს, ჭრელაჭრულა

1. ძალიან კარგი ამინდია, ცაზე მზე _____ .
2. სკოლის თავზე საქართველოს დროშა _____ .
3. ბავშვები _____ დარბიან ეზოში.
4. ყველას _____ ფეხსაცმელი აცვია.

სავარჯიშო 5.

1. ამოწერე ლექსიდან იმ ნივთების სახელები, რომლებსაც შენც ყიდულობ სკოლისთვის.

_____

_____

_____

_____

2. კიდევ რა ნივთებს/ტანსაცმელს ყიდულობ ხოლმე სკოლისთვის? გააგრძელე საყიდლების სია (რომელი საგნის სახელიც არ იცი, ჩახატე და შემდეგ შეეკითხე მასწავლებელს):

_____

_____

_____

ჩასახატი

3. დაასრულე წინადადება:

ჩემს სიაში ჩამოწერილი სიტყვები _____

ა. **არსებითი სახელებია;**
ბ. **ზედსართავი სახელებია;**
გ. **რიცხვითი სახელებია;**
დ. **ზმნებია**

დავალებები 6–7 შეასრულე წიგნში.

სავარჯიშო 8. **დაასრულე წინადადებები:**

1. კითხვა „ვინ“ დაესმის _____ .

2. საგნებს, ცხოველებს, მოვლენებს, წელიწადის დროებს, თვეებს, კვირის დღეებსა და სხვა არსებით სახელებს დაესმის კითხვა
„ _____?“

დავალება 9 შეასრულე წიგნში.

სავარჯიშო 10.

1. ამოიწერე ტექსტიდან შესაბამისი სიტყვები და შეავსე ცხრილი:

არსებითი სახელები					
ადამიანები	ცხოველები	ნივთები, საგნები	ადგილები	დრო	მოვლენა
მასწავლებლებს...	ძაღლი...	ტანსაცმელი...	სკოლის...	დღე...	წვიმა...

2. **თუ ცხრილში ადგილები დარჩა, შეავსე ის სხვა სიტყვებით.**

სავარჯიშო 11. **ხელახლა წაიკითხე ტექსტი (მოსწავლის წიგნი, დავალება 9) და შეასრულე მითითებები.**

1. დააკვირდი მუქი შრიფტით გამოყოფილ სიტყვებს. შენი აზრით, რით ჰგავს ეს სიტყვები ერთმანეთს?

_____

_____

2. დაასრულე წინადადება: მუქი შრიფტით გამოყოფილი სიტყვები სხვებისგან იმით განსხვავდება, რომ

_____

დავალება 12 შეასრულე წიგნში.

სავარჯიშო 13. **შეასრულე მითითებები:**

1. დააკვირდი ამ კომპოზიტებს: ფერად-ფერადი, ჭრელაჭრელა, პირველკლასელი, დედ-მამა, ბებია-ბაბუა, და-ძმა, ზურგჩანთა

რით განსხვავდება ისინი ერთმანეთისგან? _____

_____

2. როგორც ხედავ, ზოგი კომპოზიტი დეფისით იწერება, ზოგი – დეფისის გარეშე.

როგორ ფიქრობ, როდისაა საჭირო დეფისი? _____

_____

დავალება 14 შეასრულე წიგნში.

სავარჯიშო 15. **დაწერე კომპოზიტები ნიმუშის მიხედვით:**

ნიმუში: დედა და მამა – დედ-მამა

ა. და და ძმა _____

ბ. ცოლი და შვილი _____

გ. ქმარი და შვილი _____

დ. პატარა 2-ჯერ – პატარ-პატარა _____

ე. შავი 2-ჯერ _____

ვ. ლამაზი 2-ჯერ _____

ზ. ორი 2-ჯერ – ორ-ორი _____

თ. სამი 2-ჯერ _____

ი. ხუთი 2-ჯერ _____

კ. ასი 2-ჯერ _____

სავარჯიშო 16. **გაასწორე შეცდომები.**

ჩვენი სკოლა ორ სართულიანია. პირველ სართულზე სპორტის დარბაზი, ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო, პირველ კლასელების, მეორეკლასელების და მესამე კლასელების ოთახებია. დანარჩენი საკლასო ოთახები მეორესართულზეა. მე და ჩემი თანა კლასელებიც მეორე სართულზე ვსწავლობთ. ჩვენს საკლასო ოთახში 20 მერხი და ორი კარადა დგას. კარადაში გლობუსი, რუკები, გეომეტრიული ფიგურები და სხვა პატარპატარა სასწავლო ნივთები აწყვია. კედელზე დაფა და ტან საცმლის საკიდი კიდია.

სავარჯიშო 17. **დააკავშირე ნახატები და სიტყვები.**

სერიოზული

შეშინებული

გაბრაზებული

გახარებული

დაღლილი

გაოცებული

სავარჯიშო 18. **გამოიყენე მე-17 სავარჯიშოს სიტყვები და შეავსე გამოტოვებული ადგილები:**

მამაჩემი

მამაჩემი უმეტესად ძალიან _____ ა, იშვიათად არის მხიარული. საღამოს ძალიან _____ მოდის სამსახურიდან. მაგრამ, ამის მიუხედავად, ვახშამზე ყოველთვის გვეკითხება: „აბა, დღეს რა მოხდა? რა ისწავლეთ ახალი?“ და ყურადღებით გვისმენს. არ მიყვარს, როცა მამა _____ ა, ამიტომ არასდროს ვაბრაზებ. მამა ყველაზე _____ და _____ მაშინ იყო, როცა სკოლის ჩემპიონი გავხდი ჭადრაკში. არ იცოდა, რომ ჭადრაკს ასე კარგად ვთამაშობ.

მამა ძალიან მშვიდია, თითქმის არაფრის ეშინია. _____ მამა პირველად მაშინ ვნახე, როცა ჩემი ძმა იყო ავად.

სავარჯიშო 19. **წაიკითხე ბოლო აბზაცი ტექსტიდან „არდადეგების შემდეგ“ და შეასრულე დავალებები:**

„პირველი გაკვეთილებიც განსხვავებულია. მასწავლებელი არავის ეკითხება გაკვეთილს და არავის უმოწმებს საშინაო დავალებას. პირველ დღეს არაფერს ვსწავლობთ ხოლმე. იშვიათად ვწერთ. ბევრს ვლაპარაკობთ, ზაფხულის ამბებს ვყვებით, ვუსმენთ ერთმანეთს და მასწავლებლებს. მასწავლებლები კარგ გუნებაზე არიან. დაღლილი და გაბრაზებული სახე არავის აქვს. პირველ დღეს უფრო ადრე ვბრუნდებით ხოლმე სახლში.“

1. გახაზე ზმნები ტექსტში.

2. უპასუხე შეკითხვებს:

ა. რამდენი ზმნაა ამ აბზაცში? _____

ბ. რომელ დროშია ეს ზმნები? _____

3. შემოხაზე სწორი პასუხი:

ა. გახაზული ზმნები აწმყოს მწკრივშია.
ბ. გახაზული ზმნები უწყვეტლის მწკრივშია.
გ. გახაზული ზმნები მყოფადის მწკრივშია.

4. შეავსე ცხრილი:

მე	ვეკითხები		ვსწავლობ				
შენ				წერ		უმოწმებ	
ის	ეკითხება	ჰყვება			ლაპარაკობს		
ჩვენ		ვყვებით			ვლაპარაკობთ		
თქვენ			სწავლობთ	წერთ			უსმენთ
ისინი	ეკითებიან	ჰყვებიან				უმოწმებენ	

5. დააკავშირე:

მე	არავის უმოწმებ დავალებას
შენ	არავის უმოწმებს დავალებას
ის	არავის ვუმოწმებ დავალებას
ჩვენ	არავის უმოწმებთ დავალებას
თქვენ	არავის ვუმოწმებთ დავალებას
ისინი	არავის უმოწმებენ დავალებას

6. აუღლე ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში:

მე არავის ვეკითხები გაკვეთილს...
შენ არავის ეკითხები გაკვეთილს...
ის არავის ეკითხება გაკვეთილს...
ჩვენ არავის ვეკითხებით გაკვეთილს...
თქვენ არავის ეკითხებით გაკვეთილს...
ისინი არავის ეკითხებიან გაკვეთილს...

მე ვყვები ამბებს.

შენ _____ ამბებს.

ის _____ _____

ჩვენ _____ _____

თქვენ _____ _____

20. კომპლექსური დავალება

დღიურის სახით დაწერე პატარა თხზულება სათაურით: „..... სექტემბერი, მე-.... დღე სკოლაში“

- გაითვალისწინე რეალური დრო: რა რიცხვია და მერამდენე დღეა სწავლის დაწყებიდან.
- წერის დაწყებამდე გადახედე შეკითხვებს და ზეპირად უპასუხე მათ. თუ რომელიმე საჭირო სიტყვას ვერ გაიხსენებ, მოინიშნე მშობლიურ ენაზე და მოიძიე.

თხზულებაში უნდა აღწერო:

- როგორი ამინდია?
- მძიმეა თუ არა შენი ჩანთა და რატომ?
- რა გაცვია დღეს?
- როგორ გამოიყურებიან მასწავლებლები და თანაკლასელები, როგორ გუნებაზე არიან?
- როგორ გამოიყურებიან ამჟამად პირველკლასელები: ისევ დაბნეულები და შეშინებულები არიან თუ არა?
- რა არის ახალი კლასში ან სკოლაში?
- რას სწავლობთ და რას აკეთებთ წელს ახალს?
- ახალი საგნებიდან რომელი მოგწონს?
- ახლა რომელ გაკვეთილზე ხარ და რას აკეთებ?
- დღეს რომელ საათზე ბრუნდები სახლში?
- რა განსხვავებაა სწავლის პირველ დღესა და დღევანდელ დღეს შორის?

არ დაგავიწყდეს:

- სწორად გამოყო აბზაცები;
- სწორად დაწერო კომპოზიტები;
- სწორად ჩასვა ზმნა შესაბამის პირში;
- გამოიყენო ახალნასწავლი ზედსართავები და მიმღეობები.

წერის დასრულების შემდეგ

- აუცილებლად წაიკითხე შენი დაწერილი ტექსტი და შეასწორე შეცდომები.
- ისაუბრე, რა პრინციპით გამოყავი აბზაცები? რა შეცდომები იპოვე შენ მიერ დაწერილ ტექსტში? შენი აზრით, რატომ დაუშვი ეს შეცდომა?

დავალება 21 შეასრულე რვეულში.

სავარჯიშო 22. დააკავშირე ფრაზა ნახატთან:

აი, ის წითელი კაბა ძალიან მომწონს.

ეგ ფორმა ძალიან გიხდება.

ეს ჩემი საყვარელი ჰუდია.

სავარჯიშო 23. დაათვალიერე ილუსტრაცია და გაანაწილე ეს სიტყვები შესაბამის ჩარჩოებში:

ტანსაცმლის მაღაზია, მაისური, ჰუდი, პერანგი, ჟაკეტი, ჯემპრი, შარვალი, შორტი, ბოლოკაბა, კაბა, კონსულტანტი, მანეკენი,

1.01

სავარჯიშო 24. **მოუსმინე დიალოგს და უპასუხე შეკითხვებს:**

ა. შენი აზრით, სად მიმდინარეობს ეს დიალოგი?

_____

ბ. ვინ და ვინ საუბრობს?

_____

გ. რისი ყიდვა უნდა გოგონას?

_____

დ. რას ურჩევს მას კონსულტანტი?

_____

1.01

სავარჯიშო 25

ა. ხელახლა მოუსმინე დიალოგს და მონიშნე, ვინ რას ამბობს:

ფრაზა	კონსულტანტი	კლიენტი გოგონა
კონსულტანტი ბრძანდებით?		✓
გთხოვთ, დამეხმაროთ.		
რით დაგეხმაროთ?		
მომაწოდეთ, თუ შეიძლება.		
უფრო პატარა ზომა არ გაქვთ?		
ამ ჟაკეტს შემოგთავაზებთ.		
ამ ფერს გირჩევთ.		
როგორც თქვენ გსურთ.		

ბ. უპასუხე შეკითხვას: შენი აზრით, რატომ არის ამ ფრაზებში ყველა ზმნა მრავლობით რიცხვში?

1.01

სავარჯიშო 26

ა. კიდევ რამდენჯერმე მოუსმინე დიალოგს და შეავსე ცხრილი შესაბამისი სიტყვებით:

მისალმება	თხოვნა	ნებართვის აღებ	სინანულის გამოხატვა	შეთავაზება	მადლობის გადახდა	დამშვიდობება
გამარჯობათ						

ბ. თუ დიალოგის მოსმენისას რომელიმე სიტყვის ჩაწერა ვერ მოასწარი, დააკვირდი სავარჯიშო 25-ის ფრაზებს. შეგიძლია, ცხრილის ზოგიერთი უჯრა შეავსო ამ ფრაზების მიხედვით.

სავარჯიშო 27. **შეავსე ცხრილი მისალმების, მადლობის გადახდისა და დამშვიდობების სხვა ფრაზებით:**

მისალმება	მადლობის გადახდა	დამშვიდობება

სავარჯიშო 28. **მიუწერე შესაბამისი თავაზიანი ფორმა:**

გამარჯობათ, გნებავთ, ინებეთ, ბრძანდებით, კარგად ბრძანდებოდეთ

ნიმუში: გამარჯობა – გამარჯობათ

გინდა – _____

აიღე – _____

ხარ – _____

კარგად – _____

სავარჯიშო 29. **გადახაზე ზედმეტი სიტყვა/ფრაზა:**

ნიმუში:

~~მომეცით~~	ინებეთ	აიღეთ	გამომართვით
ჩემი აზრით	ვფიქრობ	მგონი	არა მგონია
გნებავთ	გინდათ	ინებეთ	გსურთ

სავარჯიშო 30

ა. კიდევ ერთხელ დააკვირდი ილუსტრაციას და გაიხსენე, რა შემთხვევაში იყენებენ თანამოსაუბრეები „ეს“ ნაცვალსახელს და რა შემთხვევაში: „ეგ“ და „ის“ ნაცვალსახელებს.

ბ. დააკავშირე:

ეს	შარვალი	შარვალი, რომელიც ჩემთან და შენთან ახლოს არ არის.
ეგ	შარვალი	შარვალი, რომელიც ჩემთან ახლოსაა (ან მაცვია).
ის	შარვალი	შარვალი, რომელიც შენთანაა ახლოს (ან გაცვია).

ბ. ნიმუშის მიხედვით, ზედა გრაფაში ჩაწერე შესაბამისი ნაცვალსახელის სახელობითი ბრუნვის ფორმა:

სახელობითი	**ეს** ჟაკეტი	_____ შარვალი	_____ კაბა
მოთხრობითი	ამ ჟაკეტმა	მაგ შარვალმა	იმ კაბამ
მიცემითი	ამ ჟაკეტს	მაგ შარვალს	იმ კაბას
ნათესაობითი	ამ ჟაკეტის	მაგ შარვლის	იმ კაბის
მოქმედებითი	ამ ჟაკეტით	მაგ შარვლით	იმ კაბით

31. კომპლექსური დავალება

მეწყვილესთან ერთად მოიფიქრე და გაითამაშე პატარა დიალოგი თემაზე „ტანსაცმლის მაღაზიაში“.

დიალოგის გათამაშებამდე:

- თვალი გადაავლე საჭირო ფრაზებსა და კონსტრუქციებს.
- თუ რომელიმე საჭირო სიტყვა ან ფრაზა არ იცი, დაეკითხე მასწავლებელს.
- დაწერე დიალოგი და გაასწორე მასწავლებლის დახმარებით.
- გაინაწილე როლები მეწყვილესთან.
- საკლასო ოთახში არსებული ნივთებით მოამზადე შესაბამისი „სცენა“ (მაგიდა, ტანსაცმლის საკიდი, ტანსაცმელი...).

დიალოგის გათამაშებისას:

- აუცილებლად ისაუბრე თქვენობით.
- არ დაგავიწყდეს მისალმება და დამშვიდობება.
- გამოიყენე თავაზიანი სიტყვები და გამოთქმები.
- სწორად გამოიყენე ჩვენებითი ნაცვალსახელები „ეს, ეგ, ის“.
- ყურადღება მიაქციე ინტონაციას.

დიალოგის გათამაშების მერე აღნიშნე:

- რომელი სავარჯიშოები გამოიყენე დიალოგის შედგენისას.
- კიდევ რა წყარო დაიხმარე და რა ხერხი გამოიყენე დავალების კარგად შესასრულებლად.

1.02

სავარჯიშო 32. **მოუსმინე აუდიოჩანაწერს და შეასრულე დავალებები:**

1. უპასუხე შეკითხვებს:

ა. ვინ საუბრობს? _____

ბ. რის შესახებ საუბრობენ? _____

2. მონიშნე სწორი პასუხები ცხრილებში:

								
მასწავლებელს მოსწონს								
მასწავლებელს სკოლაში აცვია								

მოსწავლე გოგონას მოსწონს								
მოსწავლე გოგონას სკოლაში აცვია								

მოსწავლე ბიჭს მოსწონს								
მოსწავლე ბიჭს სკოლაში აცვია								

სავარჯიშო 33. **დაასრულე ნიმუშის მიხედვით.**

მე მაქვს	ლურჯი ჯინსი მუქი თმა მოხერხებული ჰუდი
მე მიყვარს	
მე მომწონს	
მე მაცვია	
მე მირჩევნია	
მე მიხდება	
მე მაინტერესებს	
შენ გაქვს	
შენ გიყვარს	
შენ მოგწონს	
შენ გაცვია	
შენ გირჩევნია	
შენ გიხდება	
შენ გაინტერესებს	

მას აქვს

მას უყვარს

მას მოსწონს

მას აცვია

მას ურჩევნია

მას უხდება

მას აინტერესებს

სავარჯიშო 34.

1. დააკვირდი:

ა. ბევრ ქალს ურჩევნია
- კაბები
- ქვედაბოლოები

ბ. მასწავლებელს უყვარს
- ჯინსები
- ბოტასები
- მაისურები

გ. ბიჭს მოსწონს
- სპორტული შარვლები
- ჰუდები

დ. მოსწავლეს აცვია
- ფორმა: მუქი პიჯაკები და თეთრი პერანგები

ე. ზოგს უხდება
- გაშლილი თმა
- შეკრული თმა

ვ. ზოგს არ უხდება
- გაშლილი თმა
- შეკრული თმა

ზ. მას არ აინტერესებს
- სხვისი აზრი

2. ჩაწერე შესაბამისი ბრუნვის ნიშანი

ნიმუში: დედაჩემს უხდება გაშლილი თმა.

ა. ჩემს მაწავლებელ__ აცვია ლამაზი კაბა.

ბ. ამ ბიჭ__ გრძელი თმა აქვს.

გ. მამაჩემ__ უყვარს ფეხბურთი.

დ. მის და__ მოსწონს ჰუდები და სპორტული შარვლები.

სავარჯიშო 35. **ჩაწერე შესაბამისი ბრუნვის ნიშანი:**

1. **ნიმუში:** მამა.*ს*.. ძალიან უყვარს ხინკალ.*ი*.., დედა.... კი ხაჭაპურ... ურჩევნია.
2. ჩემ... ძმა... ძალიან მოსწონს ფეხბურთის ყურება.
3. ჩემ... და... ფრენბურთ... უფრო აინტერესებს.
4. ზამთარში ბავშვებ... თბილად აცვიათ.
5. ამ მამაკაც... ძალიან უხდება წვერ...

სავარჯიშო 36. **დაასრულე წინადადებები:**

ჩემ__ მეგობარ__ მოსწონს _____ და _____, უყვარს

_____ და _____ . სკოლაში სულ აცვია _____

თუმცა ურჩევნია _____ . _____ ძალიან უხდება _____ .

აინტერესებს (ან – არ აინტერესებს) სხვისი აზრ__ მისი გარეგნობის შესახებ.

- დაწერე მსგავსი ტექსტი შენი დის ან ძმის შესახებ: